ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N09/04/22

I-SGG-FOA-GS-2022-01-17/3
შიდა ქსელის სამონტაჟო
სამუშაოების შესრულებაზე

18/04/2022 წ ქ.ბათუმი

ერთის მხრივ შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" (შემდგომში "შემსრულებელი"), წარმოდგენილი აჭარის რეგიონალური ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ბერიშვილის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი 205307960, წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე კუტიბაშვილის (შემდგომში "დამკვეთი") სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბათუმის რაიონული სამსახურის ფილიალის შენობის **(მის: ბათუმი ქალაქი ბათუმი თამარ მეფის 3 შესახვევი 17)** გაზმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების (CPV - 65200000) შესყიდვა, I I-SGG-FOA-GS-2022-01-17/3 განაცხადის და გაზსადენის შიდა ქსელის მოწყობის შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

1.2. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 "დამკვეთი" ვალდებულია:

2.1.1 აწარმოოს "შემსრულებელთან" ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2 "დამკვეთი" უფლებამოსილია:

2.2.1 მოითხოვოს "შემსრულებლისგან" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

2.2.2 საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს და სისტემატიურად შეამოწმოს "შემსრულებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა;

2.3 "შემსრულებელი" ვალდებულია:

2.3.1 შეასრულოს ნაკისრი სამუშაოები ხარისხიანად;

2.3.2 პირადად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოები და "დამკვეთის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადაანდოს იგი მესამე პირებს;

2.3.3 დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობა და "დამკვეთის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ დაუშვას "დამკვეთთან" და მის საქმიანობასთან დაკავშირებული, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "დამკვეთისაგან" მიღებული ინფორმაციის გავრცელება მესამე პირებზე;

2.3.4 თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას "შემსრულებლისთვის'' ცნობილი გახდება იმ ხელშემშლელ გარემოებებს შესახებ, რომელთა გამო ფერხდება ან შეიძლება შეფერხდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყონებლივ აცნობოს "დამკვეთს'' შეფერხების საშიშროების, შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

2.3.5 სისტემატიურად მიაწოდოს ინფორმაცია "დამკვეთს" სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ და სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს "დამკვეთის" მითითებების შესაბამისად;

2.3.6 გაუფრთხილდეს "დამკვეთის" მიერ მისთვის გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს;

2.3.7 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან სხვა მიზეზით სამართლებრივი ურთიერთობის

დამთავრებისას უზრუნველყოს “დამკვეთის” მიერ მისთვის გადაცემული მატერიალური ფასეულობების, დოკუმენტებისა და ყველა ნივთის გადაბარება “დამკვეთზე” მიღება-ჩაბარების აქტით;

2.4 “შემსრულებელი” უფლებამოსილია:

2.4.1 მოითხოვოს “დამკვეთისაგან” წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა.

2.4.2 მოითხოვოს “დამკვეთისაგან” ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც შეადგენს **494.40 (ოთხას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 40 თეთრი)** ლარს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3 „დამკვეთს“ მხრიდან განხორიელებული მომსახურების მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავათა განხილვა

4.1 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოქმნილი ურთიერთობები და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა რეგულირდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

4.3 ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული პირობების (ომი, სამოქალაქო გადატრიალება, სტიქიური უბედურებები და სხვა) დადგომის შედეგად.

5.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორს-მაჟორული პირობების მოქმედების სფეროში ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა უნდა დადასტურდეს იმ სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო პალატის ან სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მას ჰქონდა ადგილი.

5.4. ფორს-მაჟორული პირობების დამთავრებისთანავე, მხარე, რომელიც აღმოჩნდა ამ პირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

5.5. ამ ხელშეკრულების 5.2, 5.3 და 5.4 პუნქტების მოთხოვნათა დაუცველობა მხარეს ართმევს უფლებას თავი იმართლოს ფორს-მაჟორული პირობების დადგომის შემთხვევაში

6. განსაკუთრებული პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2022 წლის 19 მაისის ჩათვლით.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემდგომ.

6.3. ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილობა ზემოქმედებას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების ქმედითობაზე.

6.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ელექტრონული სახით ქართულ ენაზე.

მხარეთა ხელმოწერები

"შემსრულებელი" **შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"** საიდენტიფიკაციო კოდი: 202403121 მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილი (ბაქოს) ქუჩა 46 სს "საქართველოს ბანკი" ანგ. # GE51BG0000000233446203 ბანკის კოდი: BAGAGE22 **აჭარის რეგიონალური ოფისის დირექტორი** **ვახტანგ ბერიშვილი**	**სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"** იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N144 ს/კ: 205307960 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი საბანკო რეკვიზიტები ხაზინის ერთი ანგარიში ბანკის კოდი:TRESGE22 შიდა ანგარიში - 200122900 სახაზინო კოდი - 2703030701 **დირექტორი** **ალექსანდრე კუტიბაშვილი**

LLC Socar Georgia Gas

Digitally signed by LLC Socar Georgia Gas
Date: 2022.04.19 11:14:37 +04'00'

LEPL EMERGENCY SITUATIONS COORDINATION AND URGENT ASSISTANCE CENTER

Digitally signed by LEPL EMERGENCY SITUATIONS COORDINATION AND URGENT ASSISTANCE CENTER
Date: 2022.04.19 14:44:20 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N09/04/22
ხელშეკრულების დანართი

#	შიდა ქსელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	**საპროექტო ნახაზების მომზადება და ზედამხედველობა**		17	1,30	22.10
2	**<u>გამოყენებული მასალები</u>**				**164.08**
	მათ შორის:				
	ლითონის ხრახნი D-15*2.5	ცალი	3	**0,68**	2.04
	ლიონის ონკანი D-15 (კ.ა.ს_	ცალი	3	**7,63**	22.89
	მილი ფოლადის 15*2.5	გ/მ	2	**5,3**	10.60
	მილი ფოლადის 20*2.5	გ/მ	15	**6.78**	101.70
	ლითონის მუხლი D-15*2.0 შოვით	ცალი	3	**1.02**	3.06
	ლითონის მუხლი D-20*2.0 შოვით	ცალი	3	**1.27**	3.81
	პოლიეთილენის მილიD-32 SDR-11 PE-100 (გარცმის)	გ/მ	1	**1.60**	1.60
	ლითონის დამხშობი D15	ცალი	3	**0,42**	1.26
	საღებავი	კგ	0.46	**5.08**	2.34
	კარბიდი	**კგ**	**1.74**	**3,98**	6.93
	ჟანგბადი	**ბალონი**	**0.09**	**20.00**	1.80
	შესადუღებელი მავთული 3მმ	**კგ**	**0.24**	**3,39**	0.81
	გამხსნელი	ლ	0.18	**5.50**	0.99
	ლითონის ხრახნი სამაგრით D-20	ცალი	5	**0,85**	4.25
3	**<u>სამონტაჟო სამუშაოები:</u>**				**136.67**
	მათ შორის:				
	გაზსადენის პნევმატური გამოცდა	**მ**	17	**2,258**	38.39
	ფოლადის გაზსადენის (D15 - D40) მონტაჟი	**მ**	17	**2.10**	35.70
	აგურის ან შლაკბლოკის 40სმ სისქის კედლის გახვრეტა D40მმ-მდე მილის გასატარებლად	**ცალი**	3	**8**	24.00
	ფოლადის გაზსადენზე (D15 - D40) ონკანის მონტაჟი	**ცალი**	3	**3**	9.00
	ფოლადის გაზსადენზე (D15 - D40) (მუხლი, გადამყვანი, შტუცერი, სამკაპი, დამხშობი) მონტაჟი	**ცალი**	12	**2.00**	24.00
	ფოლადის გაზსადენის და საყრდენების 2-ჯერ შეღებვა ზეთოვანი საღებავით	**მ²**	2,61	**2.14**	5,59
	სულ შიდა ქსელის მოწყობა				**322.85**
	ტრანსპორტირების ხარჯი	**3.0%**			**9.69**
	ზედნადები ხარჯები	**13.5%**			**44.89**
	გეგმიური დაგროვება	**11%**			**41.52**
	დღგ	**18%**			**75.41**
	შიდა ქსელის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით				**494.36**
	მომსახურების საერთო ღირებულება				**494.40**

საიდენტიფიკაციო კოდი **202403121** **თარიღი**

ბათუმი, გოგებაშვილი (ბაქოს) ქ.46 **18.04.2022**

საქართველოს ბანკი BAGAGE22

ანგარიშის ნომერი GE51BG0000000233446203 **ინვოისი**

I-SGG-FOA-GS-2022-01-17/3

ფიზიკური/იურიდიული პირი: **სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი**

საინდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი: **205307960**

მისამართი: **ქალაქი ბათუმი თამარ მეფის 3 შესახვევი 17**

პოტენციური აბონენტის N **2116951588**

№	აღწერა	ერთ.ფასი	ერთეული	რაოდენობა	თანხა
1	შიდა ქსელის სამონტაჟო სამუშაოების საფასური		494.40		494.40
2					
					494.40

"შემსრულებელი"

ხელმოწერა:---------- დამკვეთის ხელმოწერა----------

ბეჭედი